Culture & Creativity
EU-Eastern Partnership Programme

ინიციატივა „შემოქმედებითი ქალაქები და რეგიონები“:

ანგარიში მცხეთა-მთიანეთზე

ზვიად მჭედლიშვილი

The Programme is funded by the European Union

The Programme is implemented by a consortium led by the British Council, in partnership with the Soros Foundation Moldova, the National Center for Culture of Poland and the Goethe-Institut

ანგარიში მომზადებულია ევროკავშირის-აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის და კრეატიულობის პროგრამის მიერ.
ანგარიშის შინაარსი არ ასახავს ევროკავშირის ოფიციალურ მოსაზრებებს. ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციაზე და მოსაზრებებზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება ავტორს.

ანგარიში მომზადებულია 2017 წლის სექტემბერში

სარჩევი

1. შესავალი **4**

2. მცხეთა-მთიანეთის მიმოხილვა **4**

3. შემოქმედებითი ქალაქებისა და რეგიონების ინიციატივა მცხეთა-მთიანეთში **6**

3.1. პროექტის განრიგი *7*

3.3. კულტურული რესურსების კვლევა *8*

3.3.2. მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და კულტურული ტურიზმის ინდუსტრიის შესაძლებლობები 11

გამოწვევები: 11

4. კულტურის და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების ზოგადი რეკომენდაციები მცხეთა-მთიანეთში **14**

4.1 ხედვა 2025 *14*

4.2. პრიორიტეტები განვითარებისათვის *15*

4.3. სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისთვის *17*

შენიშვნა **20**

1. შესავალი

ევროკავშირისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების პროგრამამ „კულტურა და კრეატიულობა“ 2016 წელს წამოიწყო ინიციატივა „შემოქმედებითი ქალაქები და რეგიონები“, რომელიც მიზნად ისახავდა, ხაზი გაესვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურასა და შემოქმედებითობას პატარა და საშუალო ქალაქებისა და რეგიონებისთვის. ინიციატივა წარმოგვიდგენს პრაქტიკულ მიდგომას თუ როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული ადგილობრივი კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში ქალაქებისა და რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის ,. ინიციატივის მიზანია ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის ცნობიერების ამაღლება კულტურული და შემოქმედებითი სექტორების პოტენციალის შესახებ, მონაცემების შეგროვება ადგილობრივ კულტურულ და შემოქმედებით რესურსებზე და კონკრეტული სამოქმედო გეგმის შეთავაზება კულტურულ და შემოქმედებით ინდუსტრიათა პოტენციალის გასავითარებლად, რაც, მათ შორის, გულისხმობს ადგილობრივი კულტურული ლანდშაფტის განვითარებას, ადგილობრივ ბიზნეს კლასტერების შექმნას, ტურისტული სექტორის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას და სხვა ქვეყნების მსგავს ქალაქებთან და რეგიონებთან კავშირების უფრო ძლიერი ქსელის შექმნას. ამ ინიციატივის შედეგად პროგრამამ გამოაქვეყნა დოკუმენტი „კულტურული და შემოქმედებითი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება: დაგეგმვისა და სტრატეგიების შედგენის სახელმძღვანელო შემოქმედებითი ქალაქებისა და რეგიონებისთვის“, რომელიც შეგიძლიათ, უფასოდ ჩამოტვირთოთ და რომელშიც იპოვით პრაქტიკულ საშუალებებსა და რეკომენდაციებს ქალაქებისა და რეგიონებისთვის, თუ როგორ შეიძლება განავითარონ ადგილობრივი რესურსები.

2. მცხეთა-მთიანეთის მიმოხილვა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით და მისი დედაქალაქია მცხეთა. რეგიონის ფართობი მოიცავს 6,786 კმ2, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 94,370. მისი დასავლეთ ნაწილი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ და რეგიონში დაახლოებით 10,900 დევნილია, რომელთა უმრავლესობა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ იძულებით არის გადაადგილებული. რეგიონში ხუთი მუნიციპალიტეტია: ახალგორი, დუშეთი, ყაზბეგი, მცხეთა და თიანეთი, 480 სოფლით, 8 დასახლებითა და 2 ქალაქით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში საკმაოდ მაღალია ტურიზმის განვითარების პოტენციალი. ხუთივე მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მდიდარი ისტორიული წარსულით, მემკვიდრეობის ძეგლებით, ჩვეულებებითა და ტრადიციებით. ტურიზმის სექტორის სწრაფი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია რეგიონის დედაქალაქთან სიახლოვე.

მცხეთა-მთიანეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული რეგიონია, თავისი ღირშესანიშნაობებით და ძალიან მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით. მცხეთა დაარსდა ძვ. წ. მე-5 საუკუნეში. სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი უძველესი დასახლება, იბერიის ადრეული ქართული სამეფოს დედაქალაქი იყო ძვ. წ. მე-3 საუკუნიდან ახ. წ. მე-5 საუკუნემდე. ეს იყო ადრეული ქრისტიანული ეპოქის ეპიცენტრი და ადგილი, სადაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 337 წელს.

მცხეთის ქრისტიანული საკულტო ნაგებობები შედის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, როგორც შუა საუკუნეების რელიგიური არქიტექტურის შესანიშნავი მაგალითი კავკასიაში. საქართველოს ეროვნული მემკვიდრეობის ნუსხაში რეგიონიდან 47 ძეგლი შედის და ასობით ძეგლია აღრიცხული რეგიონულ ნუსხაში. რეგიონი განსაკუთრებულია მთების და კულტურული ძეგლების საოცრად შერწყმული ლანდშაფტით. ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლებია: მცხეთისა და დუშეთის ისტორიული ქალაქები, მათივე საყოველთაო არქიტექტურული სტილი, სვეტიცხოვლის ტაძარი, ჯვრის მონასტერი, შიომღვიმის მონასტერი, ბაგინეთი-არმაზისა და სამთავრო-ძალისას არქეოლოგიური ძეგლები; ბოჭორმის ეკლესია, ანანურის ციხე, გერგეთის სამება, შატილის და მუცოს ისტორიული კულტურული მემკვიდრეობა, შიო-მღვიმის კომპლექსი, სნოს ციხე და სხვა. მცხეთა, კერძოდ კი, სვეტიცხოველი არის წმინდა ადგილი მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის, მასში დასვენებული უფლის კვართის გამო. რეგიონი მდიდარია არამატერიალური მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი აქტივებით, მათ შორისაა ადგილობრივი რეწვა და ხალხური პოეზია, ექსკლუზიური ღვინის წარმოების ტექნოლოგია და ტრადიციული სამზარეულო.

დღესდღეობით რეგიონში 7 კულტურული ცენტრია, ძირითადად ახალგაზრდებსა და ბავშვებზე ორიენტირებული. ამ ცენტრების ძირითადი საქმიანობაა ტრადიციული ხელოვნება, აგრეთვე, აკადემიური სიმღერა და ცეკვა, საბავშვო თეატრი, ვიზუალური ხელოვნება და პოეზია. ფინანსური რესურსების სიმცირის მიუხედავად, ისინი ცდილობენ ადგილობრივი კულტურის ტრადიციები შეინარჩუნონ ცეკვისა და სიმღერების კლასების და ტრადიციული რეწვის მეთოდოლოგიის სწავლებით. რეგიონში ფუნქციონირებს 37 სიმღერა და ცეკვის ანსამბლი, ძირითადად ფოლკლორული. არსებობს 5 მუსიკალური სკოლა, კლასები მოიცავს მუსიკალური ინსტრუმენტების, საგუნდო მუსიკის და მუსიკალური ლიტერატურის შესწავლა; რეგიონის 9 მუზეუმი, მდიდარია სხვადასხვა

ისტორიული პერიოდის განსაკუთრებული არქეოლოგიური ექსპონატებით, ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული გვიანი შუა საუკუნეებით დამთავრებული, რომელთა შორის არის - ძვ.წ. IV ათასწლეულით დათარიღებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები; 35 საჯარო ბიბლიოთეკა; 26 ტრადიციული ფესტივალი და ღონისძიება.

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ადგილობრივ ეკონომიკაში. მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული ლანდშაფტები განაპირობებენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას, რაც საშუალებას აძლევს რეგიონს, საკვები პროდუქტების მნიშვნელოვანი წილი გაყიდოს ქვეყნის ბაზარზე. ეს სექტორი ადგილობრივების დასაქმების საუკეთესო საშუალებაა და რეგიონის მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას განაპირობებს. ღვინის წარმოება ძირითადად მუხრანის ვაკეზე ვითარდება. მუხრანში მოყვანილი ყურძენი გამოირჩევა თავისი დახვეწილი მახასიათებლებით და კარგად არის ცნობილი ღვინის მწარმოებელთა შორის. აქ განვითარებულია ბიო-ღვინის წარმოება (სოფ. ჩარდახი), რაც საზღვარგარეთ მაღალი მოთხოვნის გამო, ღვინის თითქმის მთლიანი მოცულობის ექსპორტს განაპირობებს. ეკოლოგიური გარემო, ალპური ზონების და ტყის მცენარეთა მრავალფეროვნება, განაპირობებს რეგიონის თაფლის განსაკუთრებულ ხასიათს და დახვეწილ საგემოვნო თვისებებს.

86 საჯარო და 2 კერძო (მცხეთა, სტეფანწმინდა) სკოლაში 11,525 მოსწავლე სწავლობს. სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონში თითქმის ყველა საჯარო სკოლაში განხორციელდა. მცხეთაში ორი ახალი სკოლა აშენდა. სკოლების უმრავლესობა აღჭურვილია კომპიუტერებით და ინტერნეტ კავშირით. წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სთავაზობს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დარგში, სადაც სასწავლო მოდულების საშუალებით სტუდენტები გადიან საბაზო განათლების კურსს პროფესიულ განათლებასთან ერთად. რეგიონში არ არსებობს საჯარო ან კერძო უმაღლესი სასწავლებლები.

3. შემოქმედებითი ქალაქებისა და რეგიონების ინიციატივა მცხეთა-მთიანეთში

მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაციის შემოქმედებითი ქალაქებისა და რეგიონების ინიციატივაში მონაწილეობის უმთავრესი ამოცანაა რეგიონის მიმზიდველობის გაზრდა ადგილობრივი საზოგადოების შემოქმედებითი პოტენციალის გააქტიურების გზით.
მოსალოდნელი შედეგები:

მკაფიო ხედვის შემუშავება იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი სტრატეგიული დაგეგმარებისა და შემოქმედებითი მიდგომების მეშვეობით რეგიონის ტერიტორიის, კულტურული მემკვიდრეობის ლანდშაფტებისა და ტრადიციების, განვითარება, ევროკავშირის რეგიონების მსგავსად, რომლებიც დიდად არ განხვავდებიან მათგან თავიანთი სიმდიდრითა და რესურსებით;

ადგილობრივი კულტურული და შემოქმედებითი რესურსების გაძლიერებით, სტუმრებისა და ინვესტორებისთვის რეგიონის მიმზიდველობის გაზრდა;

ტრადიციული მემკვიდრეობის რესურსების გააქტიურება უფრო თანამედროვე მეთოდებით, მაგალითად, შემოქმედებითი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების შექმნით.

3.1. პროექტის განრიგი

2017 წლის იანვარი	• საქართველოს 14-მა ქალაქმა და 1-მა რეგიონმა მიიღო მონაწილეობა კონკურსში
2017 წლის თებერვალი	• მცხეთა-მთიანეთის რეგიონი და აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 ქალაქი იქნა შერჩეული კონკურსში
2017 წლის მარტი	• არსებული სტრატეგიების, დოკუმენტების და ონლაინ რესურსების კვლევა
2017 წლის აპრილი	• პროექტის მიზნების პრეზენტაცია პროექტის მონაწილეებისთვის და პარტნიორებისთვის; • რეგიონალური სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება (17 წევრი); • დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და შემოქმედებითი სექტორების ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების სამუშაო შეხვედრა; • სოციალური ქსელის შექმნა Facebook-გვერდზე.
2017 წლის მაისი	• 5 გამარჯვებული ქალაქისა და რეგიონის ერთმანეთთან დაკავშირება (კიშინიოვი, მოლდოვა); • მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და შემოქმედებითი სექტორების ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების სამუშაო შეხვედრა; • ღია დისკუსია თბილისის შემოქმედებითი სექტორების წარმომადგენლებთან მცხეთა-მთიანეთში არსებული შესაძლებლობების შესახებ.
2017 წლის ივნისი	• რეგიონის კულტურის და ტურიზმის ინფრასტრუქტურის დათვალიერება და თანამოაზრეებთან შეხვედრების გამართვა; • ადგილობრივი ინიციატივების შეფასება და გაძლიერება (10 პროექტი იქნა განხილული).
2017 წლის ივლისი	• მოპოვებული მასალების ანალიზი და განვითარების რეკომენდაციების შემუშავება.
2017 წლის ნოემბერი	• საბოლოო მოხსენების პრეზენტაცია თანამოაზრეებისთვის.

პროექტის ძირითადი გუნდი

- **ლია გილარდი** (გაერთიანებული სამეფო) შემოქმედებითი ქალაქებისა და რეგიონების ინიციატივის მთავარი ექსპერტი.
- **ზვიად მჭედლიშვილი** (საქართველო), ადგილობრივი ექსპერტი.
- **რაგნარ სილი** (ესტონეთი), ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამის ძირითადი ექსპერტი.
- **გიორგი რაზმაძე** (საქართველო), საქართველოში ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამების კოორდინატორი საქართველოში, ბრიტანეთის საბჭო.
- **შალვა გივიშვილი** (საქართველო), პროექტის კოორდინატორი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.

კვლევის მონაწილეები (70 ადამიანზე მეტი)

- **მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაცია** (გუბერნატორი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები).
- **დუშეთის მუნიციპალიტეტი** (თავმჯდომარე, მოადგილეები, განათლების, კულტურისა და სპორტის სამმართველოს წარმომადგენლები).
- **მცხეთის მუნიციპალიტეტი** (განათლების, კულტურისა და სპორტის სამმართველოს წარმომადგენლები).
- **თიანეთის მუნიციპალიტეტი** (განათლების, კულტურისა და სპორტის სამმართველოს წარმომადგენლები).
- **ახალგორის მუნიციპალიტეტი** (განათლების, კულტურისა და სპორტის სამმართველოს წარმომადგენლები).
- **რეგიონის კულტურული და შემოქმედებითი ინსტიტუტების წარმომადგენლები** (კულტურული ცენტრები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, ანსამბლები და სკოლები).
- **რეგიონის შემოქმედებითი ქვე-სექტორის წარმომადგენლები** (სადადგმო ხელოვნება, ლიტერატურა, ვიზუალური ხელოვნება, კინო ხელოვნება და ა.შ.).
- **რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.**
- **რეგიონის ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები.**

3.3. კულტურული რესურსების კვლევა

3.3.1. კულტურული დაწესებულებების მრავალფეროვნება

ა) **კულტურის ცენტრები** - რეგიონში 7 კულტურის ცენტრია, ორი მათგანი მცხეთასა და დუშეთში ახლად გარემონტებულია. ამ ცენტრებს აქვთ შესაძლებლობა სერიოზულად გაზარდონ რეგიონში შემოქმედების პოტენციალი.

ბ) **მუზეუმები** - 9 მუზეუმში დაცულია და წარმოდგენილია ექსპონატები რეგიონის წარსულიდან და შესაბამისად დაცულია რეგიონის მდიდარი ისტორია, რაც სხვაგვარად დაიკარგებოდა.

გ) **ბიბლიოთეკები** - რეგიონში 35 ბიბლიოთეკაა; საჯარო სივრცეები, რომლებიც

შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივების კომუნიკაციისთვის.

დ) **დუშეთის სახალხო თეატრი** - თეატრალური წარმოდგენების ტრადიცია დუშეთში იწყებს ათვლას 1880 წლიდან.

ე) **რეგიონის მუსიკალური სკოლები** - მუსიკალური განათლება მნიშვნელოვნად აძლიერებს რეგიონის პოტენციალს განავითაროს მუსიკალური ფესტივალები და წარმოდგენები.

ვ) **ფოლკლორული სიმღერა და ცეკვის ანსამბლები** - ადგილობრივი ხალხური მუსიკა შეიცავს რეგიონის ტრადიციულ სტილისტიკას.

გამოწვევები:

- *რეგიონში კოორდინირებული კულტურის პოლიტიკის არარსებობა წარმოადგენს ძირითად გამოწვევას ყველა კულტურის ორგანიზაციისთვის. შეზღუდული დაფინანსება მხოლოდ ემსახურება ხელფასის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ახალი ინიციატივებისთვის თუ ერთობლივი კულტურული საქმიანობისთვის ფინანსური რესურსები რეგიონულ დონეზე მიუწვდომელია. შესაბამისად, ორგანიზაციებში არ არსებობს მოტივაცია ახალი აქტივობისთვის და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობისთვის.*
- *სტრატეგიული დაგეგმარების ნაკლებობა კულტურის ორგანიზაციებში იწვევს დაბალი ხარისხის პროდუქციის შექმნას. თანამშრომლები ყველაზე პროდუქტიულნი მაშინ არიან, როდესაც მათი ყოველდღიური საქმიანობის მიღმა საბოლოო მიზანი ჩანს.*
- *მუზეუმების უმრავლესობა საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, სუსტია კომუნიკაცია პოტენციურ აუდიტორიასთან და ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან.*
- *კულტურის ორგანიზაციებში არ ფუნქციონირებს მონაცემთა შეგროვებისა და შედეგების მონიტორინგის პრაქტიკა.*
- *რეგიონში შემოქმედებითი ეკონომიკის განვითარების პოტენციალის შესახებ დაბალი ცნობიერებაა.*
- *საბჭოთა წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული კულტურის ვიწრო ხედვა და განმარტება გამორიცხავს კულტურის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, შესაბამისად, ისეთი ცნებები, როგორიც არის კულტურა და დასაქმება, კულტურა და სოციალური ინტეგრაცია, კულტურა და შემოქმედებითი ეკონომიკა, არ არსებობს რეგიონული განვითარების დღის წესრიგში.*
- *შემოქმედებითი სფეროს პროფესიონალებს აკლიათ სტრატეგიული მენეჯმენტის, კომუნიკაციისა და მარკეტინგის უნარ-ჩვევები.*
- *რეგიონში არ არსებობს საჯარო ან კერძო უმაღლესი სასწავლებელი, ასევე არ არსებობს „უწყვეტი განათლების“ შესაძლებლობები.*

შესაძლებლობები:

- *ჩატარებული კვლევის პროცესში, მთელი რეგიონის წარმომადგენლების მონაწილეობით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებმაც შეიძინეს ცოდნა, უნარ-ჩვევები და გუნდური მუშაობის გამოცდილება. ეს ჯგუფი შეიძლება იყოს პირველადი ინსტრუმენტი, რათა დაიწყოს რეგიონის კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი. პროცესი თავისთავად გამოიწვევს რეგიონში დაინტერესებული ორგანიზაციების და საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვას, რაც გააძლიერებს ურთიერთპასუხისმგებლობას საბოლოო შედეგების მისაღწევად. მიღებული ცოდნა და უნარები მოგვიანებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ორგანიზაციების სტრატეგიულ დაგეგმარებაში.*

- *მუზეუმებში ინვესტიციისათვის საჭირო თანხების მოძიება, მათ მისცემს საშუალებას გააუმჯობესონ მომსახურეობის ხარისხი და შესთავაზონ მომხმარებელს სამუზეუმო მენეჯმენტის ახალი მოდელები (მაგ. ცოცხალი ისტორიის მუზეუმი) და მიიზიდონ ტურისტების უფრო მეტი რაოდენობა.*

- *მცხეთა-მთიანეთის წინამძღვრიშვილის საზოგადოებრივი კოლეჯის მსგავსად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რეგიონში დამატებით 3 კოლეჯის გახსნას გეგმავს. აუცილებელია სამინისტროსთან დიალოგის დაწყება, კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების გაძლიერების მიზნით, ამ კოლეჯებში სექტორის განვითარებისთვის აუცილებელი სასწავლო კურსების (სტრატეგიული მენეჯმენტი, კომუნიკაცია და მარკეტინგი) დამატებაზე.*

- *საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამის მხარდაჭერით, ჩაატარა კვლევა „იუნესკოს კულტურის ინდიკატორები განვითარებისთვის“, რაც ქვეყნის ეკონომიკაში კულტურის წვლილის შეფასების საშუალება იძლება. რეგიონს ეძლევა იუნესკოს მეთოდოლოგიის გამოყენების უნიკალური შესაძლებლობა. ეს მონაცემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სექტორის შესაძლებლობების შესახებ გამოვლენილი მტკიცებულებებისა და არგუმენტების მეშვეობით პოლიტიკის შემქმნელთა დარწმუნება.*

- *რეგიონში არის საჯარო სივრცეების ნაკლებობა, სადაც ყველა ასაკის ადამიანები, ერთად შეძლებდნენ შეკრებას და რეგიონში მიმდინარე აქტუალური საკითხების განხილვას. არსებულ 35 ბიბლიოთეკას, რომელთა უმრავლესობა საჭიროებს ფუნქციონირების მეთოდიკის განახლებას, შეუძლია რეგიონის მოსახლეობა საზოგადოებრივი სერვისებით უზრუნველყოს და უმასპინძლოს სხვადასხვა სახის კულტურულ აქტივობებს. ეს ფართები შეიძლება გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო მიზნებისთვის (სემინარები, დისკუსიები და ა.შ.), კულტურული ღონისძიებებისათვის (გამოფენები, მწერლებთან შეხვედრები და პოეზიის საღამოები).*

3.3.2. მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და კულტურული ტურიზმის ინდუსტრიის შესაძლებლობები

- *ა) კულტურული მემკვიდრეობა - კულტურული მემკვიდრეობა მცხეთა-მთიანეთის ტურისტული შესაძლებლობების ქვაკუთხედია და ყოველწლიურად ათასობით ადგილობრივ და უცხოელ სტუმარს იზიდავს.*
- *ბ) კულტურული და შემოქმედებითი ტურიზმი - მცხეთა-მთიანეთს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია.*
- *გ) არამატერიალური მემკვიდრეობის აქტივები - ტრადიციული რეწვა, ხალხური მუსიკა და პოეზია, უძველესი ისტორია და ხელოვნება, უნიკალური ღვინის წარმოების ტექნოლოგია და ადგილობრივი სამზარეულოს განსაკუთრებული რეცეპტები.*

გამოწვევები:

> *რეგიონული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მათ შორის, საერთაშორისო მნიშვნელობის ღირშესანიშნაობები საჭიროებს ინფრასტრუქტურის განვითარებას. ზოგიერთი კულტურული მემკვიდრეობის ნაგებობა მოითხოვს კონსერვაციას და აღდგენით სამუშაოებს, დამთვალიერებლებისთვის აუცილებელ ობიექტებს და სერვისებს (მაგალითად: საპირფარეშოები, საინფორმაციო სერვისები, გიდების მომსახურეობას და სხვა).*

> *მნიშვნელოვანია, რომ ტურიზმი, რეგიონისთვის, მთავარ პრიორიტეტად რჩება, თუმცა, ტურისტების დიდი რაოდენობის მიუხედავად (ძირითადად კულტურული მემკვიდრეობის დათვალიერებაზე ორიენტირებული ტურებით), რეგიონის ეკონომიკური სარგებელი ძალზედ მცირეა. თითქმის ყველა ეს ტური ორგანიზებულია თბილისიდან, ტურისტები უფასოდ ათვალიერებენ კულტურულ მემკვიდრეობას და ბრუნდებიან თბილისში. არ არსებობს კულტურულ-საგანმანათლებლო გასართობი სერვისები თუ ხარისხიანი სასუვენირო პროდუქცია, მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებით პროდუქტებზე მოთხოვნა აშკარაა. ეს არის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომლის შევსებაც აუცილებელია, ეს არის ის ნიშა, სადაც კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი ითამაშონ.*

> *დაბალხარისხიანი შემოქმედებითი პროდუქტების სიმრავლე განაპირობებს სტუმრების დაბალ ინტერესს ადგილობრივ პროდუქტზე. მნიშვნელოვანია, რომ ტურისტები უზრუნველყოფილი იყვნენ მაღალი ხარისხის და ავთენტური პროდუქტებითა და სერვისებით, რომლებიც არ გულისხმობს მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ღირშესანიშნაობებს, არამედ სხვადასხვა სახის ხარისხიან შეთავაზებას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ღირებულება.*

> *ბაზარზე არსებულ შესაძლებლობებზე არაადეკვატური რეაგირება, (სასტუმროების, ხარისხიანი რესტორნები და კაფეების ნაკლებობა).*

> *რეგიონში საჯარო ტრანსპორტის გაუმართაობა იწვევს მუნიციპალიტეტებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობას.*

- *მონაცემთა სიმცირე ვიზიტორთა რაოდენობის, ინტერესებისა და სურვილების შესახებ შეუძლებელს ხდის სერვისების გაუმჯობესებას.*
- *საჯარო-კერძო პარტნიორობის ამოქმედება კვლავ პრობლემურია შესაბამისი სამართლებრივი ბაზის არარსებობის გამო, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისთვის; არ არსებობს ავთენტური ტრადიციების და რეწვის წარმოების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები; რეწვის ოსტატები გადადიან მასობრივ წარმოებაზე, რადგან კონკურენციის საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ პროდუქტის თვითღირებულება; აუცილებელია პროდუქციისა და პროცესის განვითარებაში ინოვაციური მიდგომების დანერგვა, რათა თანამედროვე და უფრო მომთხოვნი მომხმარებლებისთვის სპეციალიზებული პროდუქტი შეიქმნას.*

შესაძლებლობები:

- *მიუხედავად თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სიახლოვისა, რეგიონი ძირითადად წარმოადგენს მხოლოდ ერთდღიან მოსანახულებელ ადგილს. ხარისხიანი სერვისების არსებობა ტურისტებს უფრო ხანგრძლივი პერიოდით დარჩენას უბიძგებდა .*
- *შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნაობების გარშემო, ტურისტებს შესაძლებლობას მისცემს შეიძინონ ადგილობრივი ხალხური რეწვის პროდუქტები, მოუსმინონ ხალხურ მუსიკას და პოეზიას, დააგემოვნონ ტრადიციული კერძები და რეგიონის ღვინო.*
- *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დიგიტალიზაციას შეუძლია გარდაქმნას კულტურული რესურსები ციფრული ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილად. კულტურული მემკვიდრეობის ციფრულ მასალაზე ონლაინ წვდომა გამოიწვევს ტურიზმის ინდუსტრიაში შემოქმედების ინტეგრირებას. უფრო მეტიც, მას შეუძლია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გაცოცხლება და პირველადი იერსახის მიცემა, რეგიონის პოპულარიზაცია და ცხოვრების დონის ამაღლება.*
- *რეგიონი განიცდის უმუშევრობასა და სიღარიბის პრობლემებს, როდესაც ტურისტული და შემოქმედებითი სექტორები საჭიროებს დამატებით სერვისებს.*
- *მნიშვნელოვანია „ცოცხალი ისტორიის მუზეუმის“ კონცეფციის განვითარება. ეს არის მუზეუმი, რომელიც აცოცხლებს კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს და სთავაზობს სტუმრებს განიცადონ იმ პერიოდის ცხოვრების რეალიებში მოგზაურობა.*
- *ყურადსაღებია კულტურისა და შემოქმედებითი ინიციატივების გამოუყენებელი ფართებით უზრუნველყოფა. რეგიონში მრავალი მიტოვებული შენობაა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი შემოქმედებითი სივრცეებისთვის, როგორიცაა:*

ხელოვნების გაზარი, საგამოფენო დარბაზები, საგანმანათლებლო სივრცეები და სხვა.

3.3.3. ბუნებრივი სილამაზე, ტრადიციები და ადგილობრივი მოსახლეობა

ა) **ბუნებრივი პირობები** - რეგიონი აოცებს სტუმრებს თავისი ბუნებრივი სილამაზით, კავკასიონის ქედის თოვლიანი მწვერვალებით (3500 მ და 5000 მ), ულამაზესი ხეობებით და ტბებით, ალპური მინდვრებით და მდელოებით.

ბ) **ტრადიციული ფესტივალები და ღონისძიებები** - რეგიონში არსებობს მრავალი ფესტივალი და ღონისძიება, რომელიც შეიძლება განვითარდეს როგორც სტუმრების მიზიდვის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი.

გ) **სუფთა ჰაერი და დაბალი დაბინძურების ხარისხი** - მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაცია მიისწრაფვის მწვანე ეკონომიკის განვითარებისკენ, ცდილობს ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ჰარმონიული ურთიერთკავშირის მიღწევას.

დ) **მეგობრულად განწყობილი ადამიანები და სტუმართმოყვარეობის დიდი კულტურა** - სტუმართმოყვარეობა ადგილობრივი მოსახლეობის უძველესი ტრადიციაა.

გამოწვევები:

- *დეცენტრალიზებული პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია მუნიციპალიტეტებზე, ვიდრე მთელ რეგიონზე.*
- *ფესტივალებსა და ღონისძიებებს აკლია პროფესიული მენეჯმენტი, კომუნიკაცია და ლიდერობის უნარ-ჩვევები. რეგიონში კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა ართულებს წარმატებული ღონისძიებების ორგანიზებას.*
- *კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების მხარდამჭერი სერვისების და ალტერნატიული დაფინანსების წყაროების არარსებობა.*
- *რეგიონში არ მოქმედებს შემოქმედებითი პროფესიონალებისთვის არანაირი სამსახური, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა საკონსულტაციო მომსახურეობის, ასევე პოტენციურ პარტნიორებზე და პროექტების დაფინანსების საშუალებების შესახებ ინფორმაციის მიღება.*
- *რეგიონში ორივე, კომერციული კულტურის სექტორი და არასამთავრობო კულტურის ორგანიზაციები საჭიროებენ გაძლიერებას.*

შესაძლებლობები:

- *გარემოს დაცვითი მექანიზმების დაბალანსება და ბუნებრივი რესურსების ჰარმონიული ექსპლუატაცია ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, დასაქმებას და ფისკალური შემოსავლების ზრდას.*

- *თბილისის კულტურის და შემოქმედებითი ქვე-სექტორების წარმომადგენლებთან შეხვედრამ აჩვენა, რომ რეგიონებში ადგილობრივ პარტნიორებზე დედაქალაქში მაღალი მოთხოვნა არსებობს და თბილისის შემოქმედებითი ორგანიზაციებისთვის რეგიონებში მუშაობის შესაძლებლობა საინტერესოა.*
- *რეგიონის უძველესი ისტორია სავსეა უმნიშვნელოვანესი მოვლენებით. ისტორიული ფაქტების საფუძველზე განვითარებული თეატრალიზებული წარმოდგენები შეიძლება გახდეს სტუმართა მოზიდვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.*
- *2017 წლის დასაწყისში, საქართველოს მთავრობამ დააფუძნა სსიპ "შემოქმედებითი საქართველო", რომლის მიზანია მთელი ქვეყნის მასშტაბით შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერა. შესაბამისად, რეგიონის სამუშაო ჯგუფს შეუძლია "შემოქმედებით საქართველოსთან" დაამყაროს აქტიური პარტნიორობა.*
- *რეგიონში დიდი პოტენციალი არსებობს მემკვიდრეობის, კულტურული, რელიგიური და სხვა თემატური მარშრუტების განვითარებისთვის სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის.*
- *ევროსაბჭოს საერთაშორისო კულტურული მარშრუტების პროგრამაში საქართველოს გაწევრიანება, რეგიონს შესაძლებლობას აძლევს ახალი კულტურული მარშრუტების ინიცირებისა თუ არსებულში გაერთიანების.*

4. კულტურის და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების ზოგადი რეკომენდაციები მცხეთა-მთიანეთში

4.1 ხედვა 2025

მცხეთა-მთიანეთი არის კულტურისა და შემოქმედებითი რესურსებით და შესაძლებლობებით მდიდარი რეგიონი, სადაც სტუმრებს შეუძლიათ აღმოაჩინონ საქართველოს ხალხთა უძველესი ისტორია და კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ნიმუშები, გაიცნონ/განიცადონ ადგილობრივი ხელოვნება და ფოლკლორი, შემოქმედებითი სივრცეები და გარე სათავგადასავლო აქტივობები, საუკეთესო ღვინოები და დახვეწილი ადგილობრივი სამზარეულო.

პოტენციური ინდიკატორები: ვიზიტორთა რაოდენობა; სამუშაო ადგილების რაოდენობა კულტურის და შემოქმედებით სექტორებსა და ტურიზმის ინდუსტრიებში; ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობა (საგადასახადო შემოსავლები); სხვადასხვა სექტორების ერთობლივი ინიციატივების რაოდენობა; მოხსენებების რაოდენობა Google Analytics-ში და TripAdvisor-ში.

4.2. პრიორიტეტები განვითარებისათვის

დაინტერესებული მხარეების ურთიერთდაკავშირების გაძლიერება, რათა გაერთიანდეს ყველა პერსპექტიული იდეა რეგიონის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში

4.2.1. შემოქმედებითი მცხეთა-მთიანეთის კომისიის შექმნა.

კვლევის შედეგად, ჩვენ აღმოვაჩინეთ ბევრი საინტერესო ინიციატივა. თითოეულ მუნიციპალიტეტს აქვს განვითარების საკუთარი ხედვა. ადგილობრივ ჯგუფებთან ერთად განვიხილეთ 10 პერსპექტიული პროექტი, რომელთა განხორციელება, უდავოდ, გამოიწვევს რეგიონისთვის სასარგებლო ცვლილებებს. რეგიონში არსებობს ძლიერი ბიზნეს-კომპანიები, როგორიცაა სასტუმრო "Rooms" ყაზბეგში, "შატო მუხრანი", "მუხრანის ფონდი" და ყველა მათგანს აქვს განვითარების საკუთარი პრიორიტეტები. თუ ყველა ეს ინიციატივა გაერთიანდება საერთო გეგმაში და მის განხორციელებას კოორდინაციას გაუწევს ერთი ინსტიტუცია, აღნიშნული მიზნების განხორციელება უფრო რეალისტური იქნება.

ნებისმიერი გეგმის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად საჭიროა სტრატეგიული ხელმძღვანელობა. რეგიონში არ არსებობს კონკრეტული სამსახური, რომელიც მუშაობს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებაზე. მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტო აქტიურად იყო ჩართული კვლევის პროცესში და ამიტომ უმჯობესი იქნებოდა კომისიის ჩამოყალიბება არსებული სააგენტოს ბაზაზე. კომისიის როლი უნდა მოიცავდეს სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრას, საქმიანობის კოორდინაციას, დაგეგმილი ინიციატივების ადეკვატურად დაფინანსების და მიზნების მიღწევის უზრუნველყოფას. კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ: ხუთივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი; კულტურის და შემოქმედებითი ქვე-სექტორები; ტურიზმის ინდუსტრიები და კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები.

ცენტრალური მთავრობის გეგმების გასათვალისწინებლად და მათგან საჭირო დახმარების მისაღებად აუცილებელია კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, განათლებისა და მეცნიერების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების, ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლების მოწვევა. მთელი რეგიონის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის მნიშვნელობის და შესაბამისი კოორდინაციისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ კომისიის თავმჯდომარე მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი იყოს.

4.2.2 მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის დასაწყებად სამუშაო ჯგუფის შექმნა

კვლევის პროცესში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მთელი რეგიონის წარმომადგენლებს აერთიანებს. ესენი არიან აქტიური ადამიანები, რომლებმაც შეიძინეს ცოდნა, აუცილებელი უნარ-ჩვევები და განიცადეს გუნდური მუშაობის უპირატესობა. ეს ჯგუფი შეიძლება გახდეს პირველადი

ინსტრუმენტი კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების დასაწყებად, ზემოაღნიშნული კომისიის ხელმძღვანელობით. ეს პროცესი ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეების უფრო ფართო სპექტრის პროცესში ჩართულობას და მისცემს მათ თანამონაწილეობის განცდას. სამუშაო ჯგუფის ამოცანები შეიძლება შეიცავდეს: მთელი პროცესის მართვას კომისიასთან შეთანხმებით; პროცესის გზამკვლევის შექმნას; მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრას; დოკუმენტის შედგენას; სხვადასხვა ქვე-სექტორთან და ზოგადად საზოგადოებასთან პროექტის განხილვას; თანამოაზრეებისგან ყველა პერსპექტიული იდეის შეგროვებასა და განხორციელების საერთო გეგმაში გაერთიანებას.

რეკომენდაციები:

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ბრენდის შექმნა (წარმოებულია მცხეთა-მთიანეთში). *შემოქმედებითი პროდუქტისთვის რეგიონალური ბრენდის შექმნა განაპირობებს რეგიონის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს პროდუქტის ხარისხის კონტროლს, ამაღლებს რეგიონის მოსახლეობის თვითშეგნებასა და პატივმოყვარეობას.*

კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიების სერვისებისა და პროდუქტების წარმოჩენის ინსტრუმენტების განვითარება. *კულტურის და შემოქმედებითი სექტორების პროდუქციისა და მომსახურების საერთო ონლაინ პლატფორმა შეიძლება ორიენტირებული იყოს როგორც ქვეყნის შიდა, აგრეთვე საერთაშორისო მომხმარებლებზე. აღნიშნული პლატფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი პროექტებისთვის თანხების მოსაზიდად ე.წ.* crowdfunding*-ის საშუალებით და მომხმარებელთა გამოკითხვის კამპანიებისთვის.*

რეგიონში არსებულ ტრადიციებზე დაყრდნობით რამდენიმე დღიანი ფესტივალის დაარსება. *მაგალითისთვის, ქალაქ დუშეთის თეატრალური ტრადიციები იწყებს ათვლას 1880 წლიდან. არსებობს მრავალი საინტერესო შემთხვევა თუ ისტორიული ფაქტი, რაც „დუშეთის თეატრალური ფესტივალის“ დაარსებისთვის საკმარისი საფუძველია.*

კულტურის და შემოქმედებითი სექტორების პროფესიონალებისთვის უწყვეტი სასწავლო პროგრამებით უზრუნველყოფა. *მრავალფეროვანი სახელოვნებო, სტრატეგიული მენეჯმენტის, კომუნიკაციისა და მარკეტინგის სწავლება შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებრივი კოლეჯების ბაზაზე, რომლებიც უახლოეს მომავალში უნდა ამოქმედდეს რეგიონში. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ კურსებზე ასაკობრივი შეზღუდვა მოიხსნას.*

კულტურული მემკვიდრეობის ციფრული ნიმუშებით აღჭურვილი კულტურული ტურიზმის ონლაინ პლატფორმის შექმნა. *რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ციფრულ მასალაზე ონლაინ წვდომას შეუძლია აამაღლოს ინტერესი რეგიონის მიმართ, როგორც მრავალდღიანი ტურის დამოუკიდებელი დანიშნულების ადგილი. ეს პლატფორმა უნდა იყოს საწყისი წერტილი რეგიონის გაცნობისთვის, რომელიც სრულყოფილად წარმოსახავს მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას და სტუმრების*

მომსახურების მრავალფეროვან სერვისებს.

შემოქმედებითი პროექტების საჯარო ფართებზე წვდომის ხელშეწყობა. *საინიციატივო ჯგუფის საპროექტო წინადადებების დეტალური ანალიზის საფუძველზე უნდა განისაზღვროს საჯარო ფართის გამოყენების პირობები, ვადები და შესაძლო თანადაფინანსებაც. ეს იქნება კარგი საფუძველი რეგიონში საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარებისთვის და ვიზიტორებისთვის ახალი, მიმზიდველი სივრცეების შესაქმნელად.*

შემოქმედებითი ინიციატივების განვითარების და საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით რეგიონული ფონდის დაარსება. *აუცილებელია რეგიონის მასშტაბით მცირეოდენი ფინანსური რესურსების მობილიზაცია საუკეთესო პროექტების თანადაფინანსებისთვის. კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლებისთვის საერთაშორისო კონსორციუმში მონაწილეობა მოითხოვს ადგილობრივი თანადაფინანსების არსებობას, რაც ხშირად დაუძლეველი წინაღობაა მცირე ოპერატორებისთვის. შესაბამისად, ადგილობრივი დაფინანსების მხარდამჭერი მექანიზმების არსებობა აუცილებელია საერთაშორისო დონორებისგან თანხების მოსაზიდად და საერთაშორისო პარტნიორობისთვის.*

ისტორიულ ფაქტებზე აგებული თეატრალიზებული წარმოდგენების ორგანიზება და „ცოცხალი ისტორიის მუზეუმის“ კონცეფციის განვითარება. *რეგიონის უძველესი ისტორია მდიდარია უმნიშვნელოვანესი მოვლენებით, რომელთა თეატრალიზებულ წარმოდგენაში გარდასახვა უზრუნველყოფს სტუმართა ნაკადის გაზრდას რეგიონში. „ცოცხალი ისტორიის მუზეუმი“ წარმოადგენს კონკრეტული ისტორიული პერიოდის სიმულაციას, რომელიც სთავაზობს სტუმრებს განიცადონ ამ ეპოქაში მოგზაურობა და გართობა.*

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება. *აუცილებელია გაგრძელდეს და განმტკიცდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების შესახებ ინფორმაციის, ცოდნის, პოლიტიკის განვითარების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მეთოდიკის გაცვლა.*

4.3. სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისთვის

4.3.1. მცხეთა-მთიანეთის კომისიის შექმნა (მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს ბაზაზე). მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაცია შექმნის კომისიას. კომისია იქნება საკოორდინაციო ორგანო მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ადმინისტრაციის სახელით სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში.

4.3.2. სამუშაო ჯგუფის შექმნა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის დასაწყებად. კომისია გამოაცხადებს ღია კონკურსს მცხეთა-მთიანეთის კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად. სამუშაო ჯგუფის წევრებს გამოავლენს კომისია.

4.3.3. ქვე-სექტორული სემინარების ორგანიზება. ერთდღიანი სემინარების ჩატარება თითოეულ ქვე-სექტორში. რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების, საჯარო ორგანიზაციების, კერძო კომპანიების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით. სემინარების თემები იქნება:

- > რეგიონში არსებული ინიციატივების შესაძლო განხორციელების გზაზე არსებული გამოწვევების ანალიზის საფუძველზე ძირითადი პრობლემების გამოვლენა;
- > არსებული პრობლემების გადაჭრის გზების განსაზღვრა.

4.3.4. სამუშაო ჯგუფი სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მოიძიებს ინფორმაციას, გამოვლენილი, ძირითადი პრობლემების გადაჭრის საერთაშორისო გამოცდილების გასაცნობად. სამუშაო ჯგუფის წევრები მოახდენენ საერთაშორისო სტატისტიკის და პრობლემების დაძლევის მეთოდიკის გაანალიზებას ადგილობრივ გამოწვევებთან მიმართებაში. მონაწილეობას მიიღებენ სტრატეგიული გეგმისთვის დამატებითი მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებაში. შეიძლება გამოყენებულ იქნას კითხვარები, სხვადასხვა სექტორების სპეციალისტების მოსაზრებების შესაგროვებლად.

4.3.5. სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს დოკუმენტის პირველად სამუშაო ვერსიას. სემინარების შედეგების საფუძველზე მოპოვებულ მასალასა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს დოკუმენტის პირველად ვერსიას.

4.3.6. კონსულტაციები მცხეთა-მთიანეთის კომისიაში სხვა სამთავრობო უწყებებთან და კერძო კომპანიებთან. მცხეთა-მთიანეთის კომისია განიხილავს დოკუმენტის პირველ სამუშაო ვერსიას და განსაზღვრავს პრიორიტეტებს. კომისია გამართავს კონსულტაციებს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან და რეგიონში არსებულ კერძო კომპანიებთან.

4.3.7. საჯარო კონსულტაციები დოკუმენტის პროექტზე. პროექტი გამოქვეყნდება; რეაგირება მოეთხოვებათ ყველა დაინტერესებულ მხარეს ვინც მიიღებს მონაწილეობას პროცესში; მიზანმიმართული მოთხოვნის გარდა, პროექტი მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება და ღია იქნება საჯარო კომენტარებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, თემატური განხილვები შეიძლება დამატებით ჩატარდეს.

4.3.8 კულტურის სამინისტროსთან კოორდინაცია/თანამშრომლობა. კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში მცხეთა-თიანეთის კულტურისა და შემოქმედებითი რესურსების განვითარების სამოქმედო გეგმის ინტეგრირება.

Culture & Creativity
EU-Eastern Partnership Programme

შენიშვნა

ანგარიში მომზადდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტიორობის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამის თანადგომით. ამ ანგარიშის შინაარსი არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ მოსაზრებას. ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციაზე და მოსაზრებებზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება ავტორს.

ევროკავშირის აღმოსავლეთ თანამშრომლობის კულტურის და კრეატიულობის პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს კულტურისა და კრეატიული სექტორის წვლილს მდგრადი ჰუმანიტარული, სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელორუსიაში, საქართველოში, მოლდავეთში და უკრაინაში.

The Programme is funded by
the European Union